# ახალი ხარაგაული

№322 (14), 15 ივნისი, 2016 წ.


## მუნიციპალიტეტის გამგებელმა ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან და გამგეობის სამსახურის უფროსებთან თათბირი გამართა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან და გამგეობის სამსახურის უფროსებთან თათბირი გამართა. შეხვედრაზე კობა ლურსმანაშვილმა წარმომადგენლებს მეტი ყურადღებისკენ მოუწოდა და სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში მკაცრი კონტროლი მოსთხოვა.

„პროექტები, რომლებიც ცენტრალური თუ ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება, ხარისხიანად უნდა შესრულდეს. მინდა, ხაზი გავუსვა დამოკიდებულებას თქვენსა და მოსახლეობას შორის. თითოეული თქვენგანი ვალდებულია, მოქალაქეს ამომწურავი პასუხი გასცეს ყველა კითხვაზე და დაეხმაროს შესაძლებლობის ფარგლებში.“

გამგებელმა თათბირზე მუნიციპალიტეტში მოსალოდნელი რეორგანიზაციის შესახებაც ისაუბრა. კობა ლურსმანაშვილი არ გამორიცხავს, რომ უახლოეს მომავალში გამგეობის სამსახურებისა და განყოფილებების რეორგანიზაცია მოხდეს.

მუნიციპალიტეტის გამგებელი მოახლოებულ არჩევნებსაც შეეხო და აღნიშნა, რომ საჯარო მოხელეები ვალდებული არიან, თავი შეიკავონ საარჩევნო აგიტაცია-პროპაგანდისაგან. „ის, რაც ხდებოდა წინა მმართველი ძალის მიერ, ახლანდელ ხელისუფლებას არ სჭირდება. რასაც ვაკეთებთ, სახეზეა. ჩვენზე დაკისრებულ მოვალეობებს თუ კარგად შევასრულებთ, ადამიანები თავისთავად მადლიერები იქნებიან“, - აღნიშნა კობა ლურსმანაშვილმა.

თათბირზე გამგებელმა მოადგილე დავით დევდარიანსა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსს, მალხაზ ფხალაძეს, მადლობა გადაუხადა აქტიური მუშაობისთვის. „სწორედ მათი დამსახურებითაა, რომ 2016- 2017 წლების სამოქმედო

**გაგრძელება მე-2 გვერდზე**

## რა თანხები გამოეყო დამატებით ა(ა)იპ-ებს

6 ივნისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართა. სხდომაზე დეპუტატებმა საბიუჯეტო ცვლილების შესახებ იმსჯელეს, რომელიც მათ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, ვლადიმერ გელაშვილმა, გააცნო.

„ა(ა)იპ-ების დირექტორთა მომართვის საფუძველზე აუცილებელი ხარჯების გასაწევად საჭიროა 36 ათასი ლარი სუბსიდიის გამოყოფა“- აღნიშნა ვლადიმერ გელაშვილმა და აქვე განმარტა, რომ ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებას“ 7 ათასი ლარი ესაჭიროება; ა(ა)იპ სამუსიკო სკოლას - 6,5 ათასი ლარი; ა(ა) იპ კულტურის ცენტრს - 13 ათასი ლარი; ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალურ ცენტრს - 4 ათასი ლარი; ა(ა)იპ ხალხური შემოქმედების სახლს - 1000 ლარი; ა(ა)იპ სათნოების სახლს - 3 ათასი ლარი და ა(ა)იპ ლიტერატურულ თეატრს - 1,5 ათასი ლარი.

დეპუტატებმა წარმოდგენილ საბიუჯეტო ცვლილებაზე იმსჯელეს და საკითხი მუხლობრივად განიხილეს.

საბიუჯეტო ცვლილებასთან დაკავშირებით საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა წარმოადგინა კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა: „დეტალურად განვიხილეთ ყველა საკითხი. კომისიის წევრების მხრიდან რამდენიმე შეკითხვა დაისვა. მაგალითად, კულტურის ცენტრისთვის, მოცეკვავეთა ფესტივალზე გასამგზავრებლად 13 000 ლარის გამოყოფას, ყველამ დაუჭირა მხარი, მაგრამ დიდხანს გაგრძელდა მსჯელობა, რამდენად არის პრიორიტეტული ეს საკითხი მუნიციპალიტეტისათვის ახლა, როცა ადგილობრივი ბიუჯეტიდან არაერთი სოციალური პროექტია განსახორციელებელი. იყო კითხვის ნიშნები „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალურ ცენტრთან“ დაკავშირებით - თუ რაში სჭირდება მას დამატებითი თანხები და სხვა. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, საერთო ჯამში, კომისიაზე ყველა საკითხი დადებითად გადაწყდა. საბოლოოდ საბიუჯეტო ცვლილება კომისიის მიერ დადებითად შეფასდა“.

„აღნიშნული თანხებით წარმატებული სტუდენტების სწავლა დაგვეფინანსებინა“, - აღნიშნა ფრაქცია „რესპუბლიკელების“ წევრმა იური ლურსმანაშვილმა. გამოთქმულ მოსაზრებას დაეთანხმა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე თორნიკე ავალიშვილი.

ა(ა)იპ „კულტურის ცენტრის“ წარმომადგენელს მიმართა დეპუტატმა გელა გოლუბიანმა: „ვიდრე საკრებულო გადაწყვეტილებას არ მიიღებდა, მოლოდინები არ უნდა შეგექმნათ იმის, რომ ამ ბავშვების წასვლა ფესტივალზე დაფინანსდებოდა“.

საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, გივი თხელიძემ, აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „სათნოების სახლს“ სჭირდება თავისი ფართი. იგი დაქირავებულ ფართში დამატებით ხარჯებს იხდის. სწორედ აქედან გამომდინარეობს მოთხოვნა სუბსიდიის გამოყოფაზე.

საკრებულოს წევრმა, კობა გოგსაძემ, სხდომაზე განაცხადა: „საბიუჯეტო ცვლილებას განაპირობებს ის, რომ ა(ა)იპ-ებს იმ თანხებს ვერ ვაძლევთ, რასაც წლის დასაწყისში ითხოვენ. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მათ დამატებითი თანხების მოთხოვნა უხდებათ.“ კობა გოგსაძის პოზიცია დანარჩენმა დეპუტატებმაც გაიზიარეს.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ინგა მაღრაძემ, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს, ვლადიმერ გელაშვილს, სთხოვა განემარტა, როდის მოხერხდებოდა წარმატებული სპორტსმენების დაფინანსება. რაზეც ბატონმა ვლადიმერმა განაცხადა: „გასულ წელს ჩვენ გვქონდა ეს პროგრამა და 2016 წელსაც აუცილებლად ავამოქმედებთ. ყველა წარმატებულ სპორტსმენს, ვინც კარგ შედეგს დადებს, გამგეობა წაახალისებს“.

**გაგრძელება მე-2 გვერდზე**

## ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებულმა საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის ფონდმა ამაშუკეთის ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოები დაფინანსა

დაახლოებით მე-10 საუკუნის ძეგლია ამაშუკეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. იგი საუკუნეების განმავლობაში იყო და არის ამ სოფლის მკვიდრთა სულიერი სავანე, სადაც უფლის სადიდებელი წირვა-ლოცვა აღევლინება და ღვთისმსახურების ყველა რიტუალი სრულდება. მაგრამ დრომ ყველაფერს დაატყო მავნე გავლენა. დაძველდა ეკლესიის სახურავი, სადაც წყალი ჩამოდიოდა და ნადგურდებოდა უნიკალური ფრესკები.

ბორითის მაჟორიტარი დეპუტატი, ქალბატონი მანანა ბარბაქაძე და გამგებლის წარმომადგენელი ბორითის

**გაგრძელება მე-2 გვერდზე**

## ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე, პაატა გოგოლაძე, ესტონეთის რესპუბლიკაში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა

6-10 ივნისს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და ესტონეთის აღმოსავლეთ პარტნიორობის ცენტრის ორგანიზებით საქართველოს რეგიონების წარმომადგენლები, მათ შორის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე, პაატა გოგოლაძე, ესტონეთის რესპუბლიკაში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ.

ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა ესტონეთის რესპუბლიკის პარნუს რეგიონის გუბერნატორთან კალევ კალიუსტესთან, ლაანემაას რეგიონის გუბერნატორთან ნეემე სურთან, ესტონეთის აღმოსავლეთ პარტნიორობის ცენტრის დირექტორთან მარიე მარდისალუ-კაჰართან და ადგილობრივი თვითმმართველობების ესტონეთის კავშირის თავმჯდომარესთან კურმეტ მუურსეპთან. ასევე, ვიზიტის ფარგლებში მონაწილეები ევროკავშირის უდიდეს რძის გადამამუშავებელ საწარმოს, ნარჩენების მართვის ცენტრს, წყლის მართვის სადგურს და ესტონეთის ელექტრონული მომსახურებების ცენტრს ეწვივნენ.

შეხვედრებზე ესტონურმა მხარემ დელეგაციის წევრებს გააცნო ევროინტეგრაციის პროცესში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები. ყურადღება გამახვილდა ადგილობრივი თვითმმართველობის, სოფლის მეურნეობის, ასევე, რეგიონული და ინფრასტრუქტურული განვითარების საკითხებზე. ამასთან ხაზგასმით აღინიშნა ევროინტეგრაციის პროცესში მოსახლეობის ინფორმირებულობისა და ჩართულობის მნიშვნელობა.

ვიზიტის შემაჯამებელ შეხვედრაზე დელეგაციის წევრებს ესტონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, თეა ახვლედიანმა, უმასპინძლა.

## მუნიციპალიტეტის გამგებელმა ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან და გამგეობის სამსახურის უფროსებთან თათბირი გამართა

**დასაწყისი პირველ გვერდზე**

გეგმაში ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით ყველა პროექტი შესრულებულია“.

კობა ლურსმანაშვილმა ძირულა-ხარაგაული-ფონა-ჩუმათელეთის მასშტაბურ პროექტზე ისაუბრა. პროექტზე მოსამზადებელი სამუშაოები უკვე მიმდინარეობს. კობა ლურსმანაშვილის ინფორმაციით, შესაძლებელია, ძალიან მალე დაიწყოს აღნიშნული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის პროცედურები. გამგებელმა ძირულა-ხარაგაული-ფონა-ჩუმათელეთის დამაკავშირებელი 52 კმ. მონაკვეთის მოასფალტებას საუკუნის პროექტი უწოდა.

თათბირზე დამსწრე საზოგადოებას კობა ლურსმანაშვილი იმ სიახლის შესახებაც ესაუბრა, რომელიც ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მოქმედ საზოგადოებრივ სახლებში განხორციელდება. კერძოდ, საუბარია ახალი სასწავლო პროგრამის ამოქმედებაზე, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების კუთხით ყველა იმ სოფელში ამოქმედდება, სადაც საზოგადოებრივი სახლი არსებობს. „იმ სოფლებში, სადაც იუსტიციის სახლებია, დაიწყება ახალი სასწავლო პროგრამა სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების კუთხით. ეს იქნება განგრძობადი პროგრამა და არ იქნება ერთჯერადი. ამ კუთხით უახლოეს დღეებში იგეგმება შეხვედრა სასწავლო ცენტრის დირექტორთან ბატონ ნუგზარ კაკულიასთან“, - აღნიშნა კობა ლურსმანაშვილმა.

ხარაგაულში პირველ ეტაპზე ახალი სასწავლო პროგრამა ხევის საზოგადოებრივ ცენტრში განხორციელდება.

**მარიანა ბურჯალიანი**

## ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებულმა საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის ფონდმა ამაშუკეთის ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოები დაფინანსა

**დასაწყისი პირველ გვერდზე**

ადმინისტრაციულ ერთეულში, ვალერი ბარბაქაძე, გვერდით დაუდგა მოსახლეობას , მათ სურვილს, რომ სარესტავრაციო სამუშაოები განხორციელებულიყო და ახალ სახურავში მოექციათ ტაძარი. ერთობლივი თხოვნით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ, ტაძარს ძეგლის სტატუსი მიანიჭა და სარესტავრაციო სამუშაოებისათვის ნებართვა გასცა. ამის შემდეგ კი, სამუშაოები ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებულმა საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის ფონდმა დააფინანსა. ტაძარი მთლიანად თუნუქით გადაიხურა და სამუშაოები სამშენებლო-სარესტავრაციო კომპანიამ შეასრულა.

ბორითის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ქალბატონმა მანანა ბარბაქაძემ, გამგებელის წარმომადგენელმა ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში, ვალერი ბარბაქაძემ და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა, ზაზა ჟორჟოლიანმა, დასრულებული სამუშაოები პირადად მოინახულეს.

ზაზა ჟორჟოლიანის განმარტებით, ამაშუკეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი უნიკალური ფრესკებითაა მოხატული. იმის გამო, რომ სახურავი დაზიანებული იყო, უხვი ნალექი ფრესკებს აზიანებდა. დღეს კი ეს საშიშროება აღარ არსებობს“.

„ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებული ფონდი მეტად მნიშვნელოვან საქმეს ემსახურება. ფონდის

დაფინანსებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში უკვე რამდენიმე ტაძარს ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები, რისთვისაც მოსახლეობა დიდ მადლიერებას გამოხატავს ამ მნიშვნელოვანი საქმის ყველა მონაწილის მიმართ“- აღნიშნა მაჟორიტარმა დეპუტატმა ქალბატონმა მანანა ბარბაქაძემ.

**ეკა შავიძე**

## როგორ ჩაიარა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საგაზაფხულო ხვნა-თესვის სამუშაოებმა

6 ივნისის საკრებულოს სხდომაზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარაგაულის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრმა წარმოადგინა ინფორმაცია მუნიციპალიტეტში საგაზაფხულო სამუშაოების აგროვადებში ჩასატარებლად დაგეგმილ ღონისძიებათა მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია დეპუტატებს, სამსახურის უფროსმა, ბონდო კიკნაველიძემ, გააცნო.

მოგეხსენებათ საქართველოს მთავრობის ინიციატივით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო მეოთხე წელია, ატარებს პროგრამას „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტს“. პროექტის მიზანს მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობა, პირველადი წარმოების ზრდის სტიმულირება და სტაბილური შემოსავლების უზრუნველყოფა წარმოადგენს. აღნიშნულ პროგრამაში უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის ბენეფიციარი ჩაერთო. აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში საქართველოს ყველა რეგიონში მოეწყო 600-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის სარეალიზაციო ობიექტი და ფერმერებს მიეცათ საშუალება, მთელი ქვეყნის მასშტაბით შეიძინონ მათთვის სასურველი საქონელი.

2016 წელს პროექტის დასაფინანსებლად 768 701 ლარი გამოიყო. აღნიშნული პროექტით - 11 751 ბენეფიციარმა ისარგებლა. დამუშავდა - 4 091 - ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი. როგორც საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის უფროსმა, ბონდო კიკნაველიძემ აღნიშნა, საგაზაფხულო ხვნა-თესვის სამუშაოები ყოველგვარი აგროწესის დაცვით ჩატარდა, რაც მიმდინარე სამეურნეო წელს მაღალი მოსავლის მიღებას უზრუნველყოფს.

## რა თანხები გამოეყო დამატებით ა(ა)იპ-ებს

**დასაწყისი პირველ გვერდზე**

სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, მანანა ბარბაქაძემ და დეპუტატმა ჯამბულ გამცემლიძემ ა(ა)იპ-ების დირექტორებს მოუწოდეს - მომავალში გაითვალისწინონ, რომ ეს იქნება ბოლო საბიუჯეტო ცვლილება, რომელსაც ისინი მხარს დაუჭერენ.

„ხარაგაული ამაყობს თავისი კულტურული წარსულით. ჩვენ გვყავდა და დღესაც გვყავს ადამიანები, რომლებიც ამ სფეროს განვითარებისთვის იღვწიან. მიუხედავად იმისა, რომ ყველა სოფელში არის სხვადასხვა სახის პრობლემა, ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ კულტურის დაფინანსებას. რაც შეეხება კრიტიკას იმის შესახებ, რომ ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელებმა თავიდანვე უნდა განსაზღვრონ ბიუჯეტი და ყველა გაუთვალისწინებელი ხარჯი მაქსიმალურად აღრიცხონ, დაზღვეული არავინაა. ა(ა)იპ-ების დირექტორები მაქსიმალურად ცდილობენ, ჩაეტიონ იმ თანხებში, რასაც მათ საკრებულო გამოუყოფს, მაგრამ გაუთვალისწინებელი ღონისძიება რასაც ნიშნავს, მგონი, ესეც უნდა გვესმოდეს. საბიუჯეტო ცვლილება კი სწორედ ამითაა გამოწვეული.“ აღნიშნა — ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ვარლამ (ტატო) თავზარაშვილმა.

ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებისთვის“ დამატებით 7 000 ლარის ჩარიცხვას სხდომაზე დამსწრე 29 დეპუტატიდან 19-მა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი ერთი დეპუტატი იყო, ხოლო კენჭისყრაში მონაწილეობა 9 დეპუტატმა არ მიიღო. ასევე გადანაწილდა ხმები ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა“ (4 000 ლარი) და „ხალხური შემოქმედების სახლისთვის“ (1 000) თანხების დამატებაზე.

ა(ა)იპ „სამუსიკო სკოლისთვის“ დამატებით 6 500 ლარის გამოყოფაზე 29 დეპუტატიდან 19-მა მიიღო დადებითი გადაწყვეტილება, ხოლო 10-მა დეპუტატმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ა(ა)იპ „კულტურის ცენტრის“ მოთხოვნას 13 000 ლარის დამატების შესახებ(აღნიშნული თანხით კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „უბისი“ გაემგზავრება ბულგარეთში საერთაშორისო ფესტივალზე) 22-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, ხოლო 7-მა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო. რაც შეეხება ა(ა)იპ „სათნოების სახლისთვის“ დამატებით 3 000 ლარის ჩარიცხვას, 20-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, ხოლო 9 დეპუტატმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

**მარიანა ბურჯალიანი**

## ხარაგაული-ბაზალეთი-ღორეშა-უბისის 21 კილომეტრიანი მონაკვეთი სრულად რეაბილიტირდება

ხარაგაული-ბაზალეთი-ღორეშა-უბისის საავტომობილო გზა, რომელიც მუნიციპალიტეტის ცენტრს თბილისი-სენაკი-ლესელიძის ცენტრალურ საავტომობილო გზასთან აკავშირებს და მუნიციპალიტეტის ხუთ ტერიტორიულ ერთეულზე გადის, სრულად რეაბილიტირდება. გზის სიგრძე 21 კილომეტრია.

ამჟამად ხარაგაულში აღნიშნული საავტომობილო გზის გარკვეული მონაკვეთის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. კერძოდ, ხარაგაულიდან ბაზალეთის მიმართულებით მოასფალტდა 3 კილომეტრიანი მონაკვეთი, ხოლო უბისიდან ღორეშის ადმინისტრაციულ ცენტრამდე 6.5 კილომეტრიანი მონაკვეთიდან ერთ კილომეტრს მუნიციპალური განვითარების ფონდი, უბისის ტაძრის მიმდებარედ, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგების პროექტის ფარგლებში მოაასფალტებს. დარჩენილ 5. 5 კმ გზის რეაბილიტაცია კი უახლოეს დღეებში დაიწყება, პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან უკვე დაფინანსებულია.

ამგვარად, ხარაგაული-ბაზალეთი-ღორეშა-უბისის 21 კმ. გზის შუა ნაწილში რჩება მძიმედ დაზიანებული და ამორტიზებული, დაახლოებით, 11 კილომეტრიანი მონაკვეთი, რომელიც სოფელ სარგვეშის ტერიტორიაზე გადის. ცოტა ხნის წინ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, აღნიშნული გზის რეაბილიტაციისთვის მუნიციპალური განვითარების ფონდს ოფიციალური წერილით მიმართა. ახლახან კობა ლურსმანაშვილისგან მიღებული ინფორმაციით ფონდში წარდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად, საკითხის დადებითად გადაწყვეტის მიზნით, აღნიშნული 11 კმ. მონაკვეთის მოსაბეტონებლად ტენდერის გამოცხადებისთვის მოსამზადებელი სამუშაოები უკვე მიმდინარეობს.

„21 კილომეტრიანი გზის რეაბილიტაცია სტიმულს მისცემს მოსახლეობას მცირე მეწარმეობისა და ფერმერული მეურნეობის განვითარებისთვის, ასევე ხელს შეუწყობს ტურისტული აქტივობების გაზრდას ხარაგაულში. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ ხარაგაული, 21 კილომეტრიანი, სრულად რეაბილიტირებული, მოწესრიგებული, ალტერნატიული გზით დაუკავშირდება ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალს“- აღნიშნავს მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული გზით მუნიციპალიტეტის 28 000 მაცხოვრებელი ისარგებლებს.

## ამერიკელი მოხალისეები სტუმრად ბორის სკოლა-პანსიონში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბორის სკოლა-პანსიონი არასამთავრობო ორგანიზაციის „ფონდი თბილისის მოზარდთა სახლის“ ეგიდით უკვე რამდენიმე წელია, ამერიკელ მეგობრებთან თანამშრომლობს. სკოლა-პანსიონში ამერიკის მისიის მოხალისეთა გუნდის დახმარებით სხვადასხვა სახის საქველმოქმედო აქციები ეწყობა. სკოლაში ფუნქციონირებს ასევე სამოქალაქო კლუბი -„Smart-კლუბი“, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია „ფონდი თბილისის მოზარდთა სახლის”და ამერიკელი მეგობრების მხარადჭერით მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახებისთვის სოციალურ პროექტებს ახორციელებს.

ამერიკელი მოხალისეები ყოველი წლის გაზაფხულზე ჩამოდიან ბორის სკოლა-პანსიონში და მათივე დაფინანსებით სკოლაში არსებული წრეების ფუნქციონირებას ადგილზე ეცნობიან. წელს უცხოელი სტუმრები სკოლას, ,,ფონდ თბილისის მოზარდთა სახლის“ თავმჯდომარე თამუნა გრიგოლიასთან და ამავე ფონდის წარმომადგენელ ვასო ნატროშვილთან ერთად რამდენიმე დღე სტუმრობდნენ. 3 ივნისს სკოლაში დასკვნითი ღონისძიება გაიმართა. მოეწყო ინტელექტუალური თამაში „ნიჭიერი“, რომელშიც წელს პირველად სოფელ ვარძიისა და წყალაფორეთის სკოლებიც იყვნენ ჩართული. დღის ბოლოს გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომლებსაც დიპლომები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ. პირველი ადგილის მფლობელი ვარძიის საჯარო სკოლის მოცეკვეთა გუნდი გახდა, მეორე ადგილი კი ბორის სკოლა-პანსიონმა დაიკავა.

დასკვნით ღონისძიებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი, გამგებელის მოადგილეები: პაატა გოგოლაძე, თემურ ჩხეიძე, დავით დევდარიანი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, დავით კიკნაძე და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები ესწრებოდნენ. გამგებელმა ბორის სკოლა-პანსიონში გაწეული ქველმოქმედებისთვის მადლობის სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცა ამერიკის მისიის მოხალისეთა გუნდის თავმჯდომარეს, ქალბატონ ლინ ბერნს და არასამთავრობო ორგანიზაციის „ფონდი თბილისის მოზარდთა სახლის“ თავმჯდომარეს, ქალბატონ თამარ გრიგოლიას. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელით დაჯილდოვდნენ ასევე „ნიჭიერის“ მონაწილეები.

„ამერიკელმა მეგობრებმა ბორის სკოლის ცხოვრება სრულიად შეცვალეს. სასიამოვნოა, როდესაც ჩვენი ბავშვები და აქ ჩამობრძანებული უცხოელი სტუმრები მეგობრდებიან და მომავალშიც აგრძელებენ ამ ურთიერთობებს. მადლობას ვუხდი ბორის სკოლა-პანსიონის დირექტორს, ბატონ ჰამლეტს სკოლაში გაწეული შრომისთვის. ასევე დიდი მადლობა ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელს, ბატონ დავით კიკნაძეს და მადლობა ყველა იმ ადამიანს, რომლებიც ასე აქტიურად არიან ჩართული დღევანდელ ღონისძიებაში“ - დასძინა მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა.

„ფონდი თბილისის მოზარდთა სახლის“ წარმომადგენელს, ვასო ნატროშვილს, ფასიანი საჩუქარი გადასცა რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა ყოველთვის მხარდაჭერას გამოხატავს სკოლა-პანსიონის მიმართ.

„აღსანიშნავია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ადგილობრივი ხელისუფლების წვლილი ბორის სკოლა-პანსიონში. მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი, აქტიურადაა ჩართული პანსიონის დაფინანსებაში. სწორედ ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მოეწყო აქ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის დღის ცენტრის ადაპტირებული ფართი, რომელიც ფუნქციონირებას უახლოეს მომავალში დაიწყებს. ორმაგად სასიამოვნოა, რომ ამ სკოლას ჰყავს დონორი ორგანიზაციები. არასამთავრობო ორგანიზაცია „თბილისის მოზარდთა სახლი“ და ამერიკელი მეგობრები. ისინი არა მხოლოდ ბორის საჯარო სკოლის, არამედ ქართველი ხალხის მეგობრები არიან. ძალიან შთამბეჭდავი იყო დღევანდელი ღონისძიება. მადლობა თითოეულ მონაწილეს, მათ მასწავლებლებსა და მშობლებს“, - აღნიშნა დავით კიკნაძემ.

ამერიკელი მოხალისეების მიერ სკოლაში არსებულ სხვადასხვა წრეებს საჩუქრად საჭირო ინვენტარი გადაეცათ. ასევე სკოლა-პანსიონის ყველა მოსწავლეს ჰიგიენური საშუალებები დაურიგდა.

**ეკა შავიძე**

## ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთათვის ქობულეთში ტრენინგი ჩატარდა

4—5 ივნისს „ევროპის კავშირსა“ და საქართველოს მთავრობას შორის 2014 წლის 18 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების (რეგიონული განვითარების მხარდაჭერა - ფაზა II) ფარგლებში გათვალისწინებული ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგ-სემინარი სსიპ ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის ორგანიზებითა და კოორდინაციით ქ. ქობულეთში გაიმართა. ,,საპროექტო წინადადებების შემუშავება ახალი სახელმძღვანელოსა და პროცედურების შესაბამისად“ - ასეთი იყო ტრენინგის თემა, რომელსაც სხვა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებთან ერთად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი, გამგებლის მოადგილე დავით დევდარიანი და ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, მალხაზ ფხალაძე, ესწრებოდნენ.

ტრენინგ-სემინარის სამიზნე ჯგუფი მუნიციპალიტეტის ის მოხელეები გახლდათ, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართული რეგიონის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში და სამხარეო საკონსულტაციო საბჭოსთან არსებულ სამუშაო ჯგუფში.

ორდღიან ტრენინგს ქობულეთში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს თვითმმართველობის განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ოთარ კონჯარია, უძღვებოდა.

## „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის სამსახურის“ თანამშრომლებისა და სამთო ტურიზმით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის ტრენინგი გაიმართა

„საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაციამ“ ა(ა)იპ „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის სამსახურის“ თანამშრომლებისა და სამთო ტურიზმით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის ტრენინგი გამართა.

ასოციაციის ტექნიკურმა ლიდერმა, არჩილ ცინცაძემ და ექსპერტ-მასწავლებელმა, ილია ბერულავამ,,ტრენინგ-კურსები”, ხარაგაულის ინოვაციების ცენტრში, „სამთო გამყოლთა განვითარების პროგრამის ფარგლებში“ ჩაატარეს.

სასწავლო კურსის ფარგლებში ორი დღე თეორიულ, ხოლო სამი დღე პრაქტიკულ სწავლებას დაეთმო.

„სამთო გამყოლთა განვითარების პროგრამა“ მსოფლიო ბანკის, ფრანგული კომპანია „SFERE“ -ს და მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაფინანსდა, რომელიც სამთო გამყოლთა მომზადებას ითვალისწინებს.

ტრენერების მოწვევა ხარაგაულში ა(ა)იპ „ხარაგულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის სამსახურის“ ორგანიზებით მოხდა. ტურიზმის სამსახურის დირექტორის, ბერიკა თურმანიძის, განმარტებით, აღნიშნული ტრენინგის გავლა მნიშვნელოვანია ტურიზმის თანამშრომლებისთვის, რათა ჩამოყალიბდნენ კვალიფიციურ გამყოლებად და მაღალი სტანდარტებით მოემსახურონ სტუმრებსა და ტურისტებს.

„საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაციის“ ტექნიკურმა ლიდერმა, არჩილ ცინცაძემ, აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა და „ტურიზმის ცენტრი“ მაქსიმალურად ცდილობენ, ხელი შეუწყონ ტურიზმის განვითარებას ხარაგაულში:

„ასეთი მოტივირებული ჯგუფი, როგორიც ხარაგაულში დამხვდა, არსად მინახავს. ორგანიზებული და მონდომებული ხალხია. მუნიციპალიტეტის წარმოჩენისთვის ყველაფერს აკეთებენ. ხარაგაულს ტურიზმის განვითარების პოტენციალი აქვს. ჩვენ მოვინახულეთ ე.წ. „ხანდების კლდეები“, რომელიც იდეალურია საცოცი კომპლექსის მოწყობისთვის. ადგილმდებარეობაც ხელს უწყობს ხარაგაულს. იგი თითქმის ცენტრშია. აქ შეგიძლია, იმგზავრო მატარებლით, რომელიც ერთობ მიმზიდველია ტურისტისთვის. ეს ადგილი იდეალურია საოჯახო ტურიზმის განვითარების კუთხითაც. აქ შეიძლება, განვითარდეს საცხენოსნო ტურიზმი; კლდეზე ცოცვა; „მოტო ტურიზმი“; ჯომარდობა და ა.შ. საკმაოდ დიდი პაკეტის შეთავაზება შეიძლება სხვადასხვა ინტერესის მქონე ტურისტებისთვის.“

**მარიანა ბურჯალიანი**

## დეპუტატებმა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კონკურსების შედეგების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს

6 ივნისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ ხდომაზე დეპუტატებმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კონკურსების შედეგების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს. საკითხი მათ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, დავით კიკნაძემ, გააცნო.

დავით კიკნაძის ინფორმაციით - „ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სულ 157 ვაკანსია იყო გამოცხადებული. დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა კი 853 შეადგენდა. ტესტირებაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 308 აპლიკანტმა გადალახა, ხოლო საჯარო სამსახურში 133 კონკურსანტი დაინიშნა.

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების კვლევის მიხედვით ქვეყნის მასშტაბით ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა.

„22 დეკემბერს თბილისში სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ საჯარო მოხელეთა ატესტაციის მონიტორინგის ანგარიში წარმოადგინა. შეხვედრას 70-ივე მუნიციპალიტეტიდან საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარეები, მერები, გამგებლები და საკრებულოს თავმჯდომარეები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე ხარაგაულიდან პირადად ვიმყოფებოდი. სამართლიანი არჩევნების თავმჯდომარემ, ნინო ლომბჟანიამ, იმ პრობლემებზე ისაუბრა, რომელიც საჯარო მოხელეთა კონკურსის პერიოდში მუნიციპალიტეტებმა აჩვენეს. ქალბატონმა ნინომ ყველაზე კარგი შედეგის მქონე მუნიციპალიტეტად ხარაგაული დაასახელა და დასძინა, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საკონკურსო - საატესტაციო კომისიამ, ყველაზე კარგად იმუშავა და კონკურსმა ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაიარა. მთავარია, რომ აპლიკანტის მიერ საჩივარი არც სასამართლოში და არც საპრეტენზიო კომისიაში არ შესულა“ — დასძინა დავით კიკნაძემ.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, ქეთევან ზუმბაძე, დაინტერესდა, რატომ არ იყო ვიდეოგადაღება გასაუბრებებზე, რაზეც მომხსენებელმა უპასუხა: „კანონი საკონკურსო-საატესტაციო კომისიას არ ავალდებულებდა ვიდეოგადაღებას. იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი მოითხოვდა, მისი მოთხოვნა გათვალისწინებული იქნებოდა. თუმცა, მსგავსი შემთხვევა არ დაფიქსირებულა“.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ორმა კონკურსანტმა, ჯონი ხაჩიძემ და დალი ციცქიშვილმა, ტესტირების ეტაპი წარმატებით გადალახეს, თუმცა გასაუბრებაზე პოლიტიკური ნიშნით დაბლოკეს.

ბორითის მაჟორიტარი დეპუტატის, მანანა ბარბაქაძის თქმით, ჯონი ხაჩიძემ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რამდენიმე წელი იმუშავა. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური ნიშნით რომ ვინმეს დაებლოკა, გამოცდებამდე გაუშვებდნენ სამსახურიდან. ჯონი ხაჩიძემ ისეთ თანამდებობაზე შეიტანა განაცხადი, რომ იქ მუშაობის შესაბამისი კვალიფიკაცია არ ჰქონდა.“

ხუნევის მაჟორიტარი დეპუტატი, ლენა აბაშიძე, თორნიკე ავალიშვილის განცხადებას გამოეხმაურა და დასძინა, რომ სწორედ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში პირადად თორნიკე ავალიშვილმა გაუშვა სამსახურიდან დალი ციცქიშვილი. მიუხედავად სოფლის მოთხოვნისა, რომ დალი სამსახურიდან არ წასულიყო, ბატონმა თორნიკემ მათი მოთხოვნა არ გაითვალისწინა.

თორნიკე ავალიშვილის განცხადებას ასევე გამოეხმაურა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი.

„ბატონო თორნიკე, როცა აპელირებთ, თითქოსდა საჯარო მოხელეები პოლიტიკური ნიშნით შეირჩნენ, შეგახსენებთ ბაჩუკი გორგაძეს. იგი თქვენი თანაგუნდელი იყო, კონკურსის საფუძველზე შეირჩა და დღემდე მუშაობს. უფრო მეტიც, საჯარო სამსახურებში 95% ის კადრია დასაქმებული, რომლებიც თქვენი გამგებლობის დროსაც მუშაობდნენ“.

ვარლამ ჭიპაშვილმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკონკურსო-საატესტატო კომისიის მუშაობა დადებითად შეაფასა და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ კომისია ნამდვილად ობიექტურ გადაწყვეტილებებს იღებდა და პოლიტიკური ნიშნით არავინ შერჩეულა.

„ბუნებრივია, აპლიკანტთა ასეთ რაოდენობაში ვიღაცას ექნებოდა უკმაყოფილების განცდა, მაგრამ კადრების შერჩევის პროცესმა კანონიერების ფარგლებში ჩაიარა. კომისია ობიექტურ გადაწყვეტილებებს იღებდა. ყველა კანდიდატი თავისი პროფესიონალიზმიდან გამომდინარე შეირჩა. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ხარაგაულში საკონკურსო- საატესტატო კომისია აპლიკანტების მიმართ მეტად ლოიალური დამოკიდებულებით გამოირჩეოდა“ - აღნიშნა დეპუტატმა ჭიპაშვილმა.

საბოლოოდ, დეპუტატების უმრავლესობამ საკონკურსო-საატესტატო კომისიის ანგარიში დადებითად შეაფასა.

**მარიანა ბურჯალიანი**

## მარინე ვეფხვაძის ინიციატივით „ნორჩმა მკითხველებმა“ გალაკტიონისა და ტიციანის მშობლიური სოფელი მოინახულეს

უკვე რამდენიმე ხანია, რაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, მარინე ვეფხვაძის ინიციატივით, პროექტი „ნორჩი მკითხველი“ ხორციელდება. პროექტის მიზანი მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის წიგნის შეყვარება, კითხვის აუცილებლობის სწორი კუთხით დანახვაა და მასში მონაწილეობას დაბა ხარაგაულის საჯარო სკოლის მოსწავლეები იღებენ. „ნორჩმა მკითხველებმა“ მარინე ვეფხვაძის ინიციატივით მიმდინარე წლის განმავლობაში რამდენიმე აქტივობა განახორციელეს: 24 თებერვალს შეუერთდნენ საერთაშორისო კითხვის დღეს, რომელიც წელს ხარაგაულში პირველად აღინიშნა და მასში ჩართული იყვნენ, როგორც საკრებულოს დეპუტატები, ასევე ღვაწლმოსილი პედაგოგები და ხარაგაულის საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები. ასევე პირველად 7 მაისს ხარაგაულში პოეზიის დღე აღინიშნა, რომელშიც ბავშვებმა საინტერესოდ წარმოაჩინეს „ცისფერყანწელთა“ ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდი, მათი ლექსები.

სწორედ პოეზიის დღეს პროექტის ავტორი მარინე ვეფხვაძე და გამგეობის წარმომადგენლები ბავშვებს დაჰპირდნენ, რომ მათთვის მოეწყობოდა ექსკურსია გალაკტიონისა და ტიციანის მშობლიურ სოფელში.

12 ივნისს „ნორჩმა მკითხველებმა“ მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით საყვარელი პოეტების მშობლიური კერა მოინახულეს და „ორპირის ფშანზე გაზრდილი ბიჭების“ ცხოვრების ამსახველ დეტალებს ადგილზე გაეცნენ მოზარდებმა ინტერესით დაათვალიერეს გალაკტიონისა და ტიციანის სახლ-მუზეუმებში დაცული მათი პირადი ნივთები. ფეხდაფეხ მოიარეს იმ ორი ბუმბერაზი პოეტის ეზო-კარმიდამო. გალაკტიონის სახლ—მუზეუმში სტუმრობისას ექსკურსიამძღოლი ვრცლად შეეხო პოეტის მოღვაწეობას ხარაგაულში და აღნიშნა, რომ გალაკტიონი ფარცხნალელებმა სათანადოდ დააფასეს და შეიყვარეს. მოგვიანებით ექსკურსანტებმა ვანის არქეოლოგიური მუზეუმი მოინახულეს.

**ეკა შავიძე**

## სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - ატესტატების გაცემა 20 ივნისს დაიწყება

სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - ატესტატების გაცემა 2016 წელს სკოლადამთავრებული მოსწავლეებისთვის 20 ივნისს დაიწყება. როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში აცხადებენ, სკოლის დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემაზე პასუხისმგებელი იუსტიციის სახლია. მათივე ინფორმაციით, ატესტატების გაცემა მას შემდეგ დაიწყება, რაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უწყებას შესაბამის ბაზას გადაუგზავნის, სადაც იმ მოსწავლეების სია იქნება, რომელთაც ატესტატის მისაღებად გამოცდაზე საჭირო ბარიერი გადალახეს. დაინტერესებულმა პირმა, ატესტატის მიღების მიზნით უნდა მიმართოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს ან იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალს 20 ივნისიდან. თუ დაინტერესებული პირი პირველადი ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის/ატესტატის მისაღებად უფლებამოსილ სამსახურს არ მიმართავს სასწავლო წლის ბოლომდე, დაინტერესებულ პირზე მომდევნო წელს გაიცემა ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის დუბლიკატი.

პირველადი ატესტატის მისაღებად უნდა წარვადგინოთ:

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დაბადების მოწმობა — თუ ზოგადი განათლების დამადატურებელი სახელმწიფო დოკუმენტის/ატეტატის მისაღებად მოთხოვნას წარადგენს არასრულწლოვანი პირის კანონიერი წარმომადგენელი;

სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა — თუ ზოგადი განათლების დამადატურებელი სახელმწიფო დოკუმენტის/ატესტატის მისაღებად მოთხოვნას წარადგენს დაინტერესებული პირის წარმომადგენელი;

დოკუმენტის დაჩქარებული წესით გაცემის შემთხვევაში — დაჩქარებული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარი.

# ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში წარმატებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ

10 ივნისს ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში წარმატებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ. მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა სპორტულ და ინტერაქტიულ შეჯიბრებებში გამარჯვებულებს სიგელები და ფასიანი საჩუქრები საგანმანათლებლო რესურსცენტის უფროსმა, დავით კიკნაძემ, რესურცენტრის თანამშრომლებმა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, თემურ ჩხეიძემ და პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის რაიონული ორგანიზაციის უფროსმა, ლალი სებისკვერაძემ, გადასცეს. საჩუქარი სულ 34 მოსწავლეს გადაეცა.

საგანამანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ, მოსწავლეებს სხვადასხვა აქტივობებში გამარჯვება კიდევ ერთხელ მიულოცა და მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, ვინც მათი წარმატების მიღწევაში გარკვეული წვლილი შეიტანა.

გამგებლის მოადგილემ, თემურ ჩხეიძემ, განსაკუთრებული ყურადღება აბიტურიენტების მიმართ გამოხატა: „წარმატებებს ვუსურვებ ყველა მოსწავლეს, განსაკუთრებით კი აბიტურიენტებს მინდა, დავულოცო ის გზა, რომელსაც ახლა უნდა შეუდგნენ. ჩემი სურვილია - წლების შემდეგ, როდესაც უმაღლეს სასწავლებლებს დაამთავრებენ, ხარაგაულში ისეთი გარემო იყოს შექმნილი, რომ ყველა სიხარულით დაბრუნდეს უკან“.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ორგანიზებით ჩატარებულ კონკურსში - „ვკითხულობთ რუსთაველს“ - გამარჯვებული ორი მოსწავლე რაიონული ორგანიზაციის უფროსმა, ლალი სებისკვერაძემ, დააჯილდოვა და ორგანიზაციის სახელით საჩუქრები გადასცა.

**მარიანა გურჯალიანი**

# ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე სამუსიკო სკოლაში ლამაზი ჰანგების ფონზე აღნიშნეს

ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. კონცერტში მონაწილეობდნენ ხათუნა მაჭავარიანისა (ფორტეპიანოს პედაგოგი) და თამარ ჩიმაკაძის (ვიოლინოს პედაგოგი) კლასის მოსწავლეები. ნორჩმა მუსიკოსებმა ფორტეპიანოსა და ვიოლინოზე შესრულებული ლამაზი ჰანგებით დაატკბეს დამსწრე საზოგადობა. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მიულოცა და მადლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისათვის სამუსიკო სკოლის დირექტორმა, ლალი ალექსიძემ - „გამგეობისა და საკრებულოს ყურადღება და მხარდაჭერა ჩვენთვის დიდი სტიმულის მომცემია, რათა ვიყოთ უკეთესი. გვიხარია, რომ ჩვენი შრომა ფასდება. მადლობა პედაგოგებს თავდაუზოგავი შრომისათვის. ბავშვები მინიმუმით იხარჯებიან სახლში, ხოლო აქ პედაგოგები მათთან ერთად მაქსიმუმს აკეთებენ.“

# კოოპერატივების განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი ხარაგაულელ ფერმერებს შეხვდა

7 ივნისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ინოვაციების ცენტრში სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარაგაულის საკონსულტაციო სამსახურმა (უფროსი ბონდო კიკნაველიძე) და სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ, კონსტანტინე ხუცაიძემ, ერთობლივი შეხვედრა გამართეს. შეხვედრას ხარაგაულში დასაქმებული ფერმერები დაესწრნენ, რომელთაც კონსტანტინე ხუცაიძემ მეფუტკრეობისა და რძის მწარმოებელი კოოპერატივების განვითარების პროგრამის შესახებ სიახლეები გააცნო.

„ჩვენი პროგრამის მიმღები ბენეფიციარები მხოლოდ და მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები არიან. ამ ეტაპზე ვახორციელებთ ორ პროგრამას. პირველი არის მეფუტკრეობის ხელშეწყობის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ფერმერებისთვის ხის სკების დარიგება მოხდება. პროგრამის განხორციელების ფარგლებში ერთი ხის სკის ღირებულების თანადაფინანსება დაახლოებით 31 ლარს შეადგენს. ამ პროექტის ორი ეტაპი უკვე დასრულდა. პირველ ეტაპზე პროექტში 98 კოოპერატივი იყო მონაწილე, რომლებმაც საერთო ჯამში 7 588 სკა მიიღეს. მეორე ეტაპზე 51 კოოპერატივმა მიიღო მონაწილეობა, რომელთაც ივნისის შუა რიცხვებამდე 3 609 ძირი სკა გადაეცემათ. ისინი ასევე 19 ერთეული 12 ჩარჩოიანი თაფლის საწურით ე.წ. ციბრუტით დაკმაყოფილდებიან. 19 კოოპერატივს კი 2 200 ლიტრი ტევადობის თაფლის შესანახი სხვადასხვა ტევადობის ავზები გადაეცემათ. პროექტის შემდეგი ეტაპი უახლოეს მომავალში გამოცხადდება და საბუთების წარდგენის ბოლო ვადა ივლისამდე იქნება.“ - დასძინა სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ.

შეხვედრაზე კონსტანტინე ხუცაიძემ საქართველოში თაფლის გადამამუშავებელი საწარმოს შექმნაზეც ისაუბრა, რომელიც ყველა საჭირო ტექნიკით აღიჭურვება.

,,პირველ რიგში, აუცილებელია, გამკაცრდეს კონტროლი თაფლის ხარისხზე. საქართველოში აქამდე თაფლის ხარისხის შესამოწმებელი ლაბორატორია არ არსებობდა. საზღვარგარეთ ხარისხის შემოწმება კი დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ამჟამად სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შეძენილია ლაბორატორიის არსებობისთვის ყველა საჭირო ტექნიკა და საქართველოში თაფლის შემმოწმებელი ლაბორატორია უახლოეს დღეებში გაივლის აკრედიტაციას. ჩვენ სხვადასხვა სახეობის ქართული თაფლის 42 ნიმუში გავგზავნეთ ევროკავშირში, აქედან 30 ნიმუშზე უარყოფითი პასუხი მოვიდა - თაფლი ანტიბაქტერიებით და სხვადასხვა მეტალებით იყო დაბინძურებული. ასე რომ, თუ გვინდა, ქართული თაფლი ევროკავშრის ბაზარზე გავიდეს, მაშინ თანამედროვე მოთხოვნები უნდა გავითვალისწინოთ. ევროკავშირი ბაზარზე თაფლის მოთხოვნის 61%—ს თავად უზრუნველყოფს, 39% კი ის ნიშაა, რაც შეგვიძლია ჩვენ დავიკავოთ“.

ბატონმა კონსტანტინემ ასევე ყურადღება გაამახვილა რძის კოოპერატივის წარმოების პროგრამაზე, რომელიც სულადობის მიხედვით, ოთხ კომპონენტადაა დაყოფილი. „1—2 კომპონენტი არანაკლებ 51 სული პირუტყვის ყოლას ითვალისწინებს, მესამე კომპონენტი — 150 სულის, ხოლო მეოთხე - 300 სულ პირუტყვს. დადგენილი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში რძის მწარმოებელ კოოპერატივებს სხვადასხვა სიმძლავრის (სულადობის მიხედვით) რძის მიმღებ-გადამამუშავებელი ტექნიკა გადაეცემათ. კოოპერატივებს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერებისათვის საჭირო აღჭურვილობაც გადაეცემათ. კოოპერატივები ასევე მიიღებენ ტექნიკურ დახმარებას ტრენინგების სახით. რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში რეგისტრაცია 1 ივლისამდე გაგრძელდება. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის პროგრამაში რეგისტრაცია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ვებ-გვერდზეა შესაძლებელი.“

შეხვედრის დასასრულს სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ ისაუბრა იმაზე, თუ როგორ უნდა მოხვდნენ ფერმერები ამ პროგრამაში და რა პრიორიტეტებს უნდა აკმაყოფილებდნენ ისინი? რა უპირატესობები აქვთ და რა საგადასახადო შეღავათებით ისარგებლებენ, როგორ შევქმნათ კოოპერატივი და რა არის საჭირო ამ სტატუსის მისაღებად?

კოოპერატივის შექმნისთვის საჭიროა გლეხების გაერთიანება დარგების მიხედვით. მაღალმთიან რეგიონში კოოპერატივის წევრთა რაოდენობა 3-ზე, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე კი, 5-ზე ნაკლები არ უნდა იყოს; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრი შეიძლება იყოს: 18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს ამ კოოპერატივის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში და ფლობს პაის. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ქონება იქმნება წევრთა (მეპაიეთა) შენატანით (პაით), სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული მოგებით, გრანტით ან სხვა წყაროებით; კოოპერატივების შექმნისას კერძო მფლობელობაში არსებული მიწების გაერთიანება სავალდებულო არ არის, თუმცა სურვილის შემთხვევაში და წევრთა ერთობლივი გადაწყვეტილებით შესაძლებელია. გაერთიანებით დაინტერესებული პირები უნდა დარეგისტრირდნენ სამეწარმეო რეესტრში კოოპერატივის ორგანიზაციული ფორმით; სააგენტოში წარადგინონ მიწასა და ქონებაზე საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი და კოოპერატივის წესდება.

კოოპერატივის ქონება, რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის, ქონების გადასახადით არ იბეგრება; მოგების გადასახადით არ იბეგრება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი და გრანტი; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისთვის არ არის დაწესებული მოგების გადასახადის ზღვარი წლიური ბრუნვის მიხედვით. რომელიც, შპს-ს შემთხვევაში 200 000 ლარს შეადგენს; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები სარგებლობენ იმ საგადასახადო შეღავათებითაც, რომლებიც სოფლის მეურნეობასთან მიმართებაში მოქმედებს.

**თამარ მაღრაძე**

# ჩვენ სუფთა ჰაერით ვსუნთქავთ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინიციატივით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ დაასრულა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ინდიკატორული გაზომვები. შესწავლილი იქნა აზოტის, დიოქსიდის, ოზონის, გოგირდისა და ბენზოლის კონცენტრაციები. დაკვირვების ადგილებად შერჩეულ იქნა დაბის ტერიტორია, საქარიქედის სერი, ვარძიის სკოლის მიმდებარე ტერიტორია და ლახუნდარაში კავილაძეების სერი. დაკვირვების შედეგებმა მოლოდინი გაამართლა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ევროკავშირის ნორმატივების ცხრილით მოცემული ტერიტორიები ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე სუფთა ჰაერით არის გაჯერებული და შესაბამისად ჩვენ სახეზე გვაქვს შემდეგი პრიორიტეტები:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოყვანილი სასურსათო დანიშნულების პროდუქცია ჩაითვლება ეკოლოგიურად ზესუფთა პროდუქტად თუ მას ფერმერი ქიმიური დანამატებით არ გააფუჭებს. აღნიშნული ინფორმაცია საკვები პროდუქციის მწარმოებელი კოოპერატივების, ფირმების, კომპანიებისთვის არის უმნიშვნელოვანესი და მთავრი ევროპული ხარისხი სერთიფიკატის მისაღებად.

2. ხარაგაულის ემიგრირებული (წასული) მოქალაქეები უკეთეს საცხოვრებელ გარემოს ძნელად იპოვნიან, საქართველოსა თუ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. ამიტომ დროა, დაიწყონ სერიოზული ფიქრი ხარაგაულში უკან დაბრუნებაზე.

დაინტერესებულ პირებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უფრო კონკრეტული ინფორმაცია შეუძლია მიიღონ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში. დაბა ხარაგაული, 9 აპრილის N 15.

გამგებლის მრჩეველი სოფლის მეურნეობის საკითხებში: მურმან არჯევანიძე

# მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს მედიკამენტების შესაძენად 140 ლარიანი ვაუჩერები გადაეცათ

პრეზიდენტის ინიციატივით მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს მედიკამენტების შესაძენად 140 ლარიანი ვაუჩერები გადაეცათ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, თემურ ჩხეიძემ და გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსხურის უფროსმა, ნანა კიკნაძემ, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის საჩუქარი პირადად გადასცეს. ვაუჩერის გამოყენება ომის ვეტერანებისთვის „ავერსის“ სააფთიაქო ქსელშია შესაძლებელი. აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან სულ 125 300 ლარი გამოიყო. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სამამულო ომის 15 მონაწილეა რეგისტრირებული. მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხარაგაულის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს ფაშიზმზე გამარჯვების 71 წლისთავთან დაკავშირებით (9 მაისი) საჩუქრად 200-200 ლარი ჩაერიცხათ.

# „არ მოეშალოს იმერეთს ჩემსას ეს სიყვარული, შნო და ლაზათი!“

„საქართველოში მშვენიერ, გამორჩეულ სოფლებს რა გამოლევს... ფარცხნალი მათ შორის გამორჩეულია...

მშვენიერებით?! ტერიტორიით?! ინფრასტრუქტურით?!

-არა და არა...

ასე შეიძლება, უსასრულოდ გაგრძელდეს, რადგან საქართველოს ასეულობით სოფლიდან ყველა რაღაცით გამორჩეული და განსაკუთრებულია...

და მაინც - ფარცხნალი სრულიად განსაკუთრებულია... თუ რით, ამას ამ წიგნში წაიკითხავთ...

ვიცი, წაიკითხავთ და დამეთანხმებით!..

იამაყებთ, რომ ეს სოფელი მართლაც ერთადერთია, არა მარტო საქართველოში, მსოფლიოშიც კი...

ამ სოფლის მიწაზე ფეხადგმულმა ადამიანებმა მსოფლიოს გააცნეს საქართველო...

ეს ადამიანები იმსახურებენ, მათი „ადგილის დედაც“ გავაცნოთ მსოფლიოს...

ეს წიგნიც ამ სურვილის მოკრძალებული მცდელობაა...“

აი უმშვენიერესი „გზამკვლევი“ წიგნისა „ფარცხნალი - კორიფეთა სამკვიდრო“, რომლითაც მიგვიძღვის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის რეჟისორი იზა ვეფხვაძე იმ მადლთან საზიარებლად, რაც სოფელ ფარცხნალს უფლის განგებით ებოძა. ეს მისი, როგორც პატრიოტისა და მამულიშვილის, კიდევ ერთი საოცარი, თითქმის საღებავშეუმშრალი წიგნია, რომელიც გამოსვლისთანავე ბესცელერად იქცა და რომელიც ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ მის ავტორს - სცენის მშვენებასა და ნიჭიერ კალმოსანს - როგორ უყვარს თავისი სამკვიდრო მიწა - თავისი ხარაგაული, თავისი ხარაგაულელები... როგორ სურს, რომ თავისი ხმა პერიფერიიდან მიაწვდინოს მსოფლიოს: მობრძანდით, გვნახეთ, გაგვიცანით - ვინ ვიყავით, რანი ვიყავით, რა ჯიშ - ჯილაგისა ვართ, როგორი სული გვასაზრდოებს, რას გვპირდება მსოფლიოს უკიდეგანო ტერიტორიის თითქმის ერთი მტკაველი მიწა სამომავლოდ ნიჭიერების იმ დიდი პოტენციალით, რომელსაც ხარაგაულის დიდი იმედი - ახალგაზრდობა ჰქვია...

რასაკვირველია, ქალბატონ იზა ვეფხვაძის წიგნმა „ფარცხნალი - კორიფეთა სამკვიდრო“ კიდევ ერთი ჩირაღდანი აუნთო ამ გამორჩეულ სოფელს, მაგრამ ამჯერად მკითხველისათვის ამ წიგნის პოპულარიზაცია სრულებითაც არა გვაქვს მიზნად. ეს სხვა თემაა, რომელზეც ბევრი დაიწერება, უეჭველად დაიწერება...

ჩვენ ისევ 28 — 29 მაისის უმშვენიერეს დღეებთან გვინდა, დაგაბრუნოთ, ძვირფასო მკითხველო, იმ დღეებთან, როცა ფარცხნალმა და ფარცხნალელებმა ლიტერატურულ კონკურს „ოდეონისა“ და სამხატვრო პლენერ „გამას“ მონაწილეებს უმასპინძლეს...

ვამაყობთ, რასაკვირველია, ვამაყობთ, რომ ფარცხნალის ღვთიურმა მიწამ მსოფლიოს მისცა დიდი სწავლულების, ხელოვნების ნებისმიერ დარგში მოღვაწეთა თაობები, მაგრამ არანაკლებია ის ფაქტიც, რომ ოდითგანვე ფარცხნალი და ფარცხნალელები ზენაარისგან ხელდასმული იმ მადლით გამოირჩეოდნენ და გამოირჩევიან, რასაც სტუმარმასპინძლობის, შრომის, ურთიერთთანადგომის, მოყვასის სიყვარული ჰქვია...

ინტერნეტსივრცე ვეღარ იტევს იმ მადლიერების გამომხატველ წერილებს, რომლებიც იგზავნება მასპინძელთა მისამართით.

აბა, რომელი გინდა გამოარჩიო, ან სტუმარი და ან მასპინძელი, ამას ერთი გაზეთი კი არა, ათიც ვერ შეძლებს...

ძვირფასო მასპინძლებო!

როგორც აღნიშნული კონკურს - პლენერის უპირველესი მასპინძელი და უპირველესი „დიასახლისი“ ქალბატონი იზა ვეფხვაძე გვპირდება, ჟიურის მიერ კონკურსის შედეგების გამოვლენის შემდეგ ქველმოქმედი პიროვნების ხელშეწყობით კონკურსანტთა შემოქმედებითი მასალები და სამადლობელი წერილები წიგნად გამოიცემა, რომლითაც ყველა მასპინძელი ოჯახი დასაჩუქრდება. ამჯერად კი ერთ-ერთი წერილის ერთ პატარა ამონარიდს გთავაზობთ: „ღმერთმა დაგლოცოს, ჩემო ქართველო ხალხო, ღმერთმა დაგლოცოთ, ფარცხნალელებო, ისლარელებო, ხარაგაულელებო, ახალსოფლელებო, ღუდუმექეთლებო, ასეთი სტუმართმოყვარეობისათვის... სტუმრებზე მიდიოდა „ნადირობა - დათრევა - დატაცების“ დიდი მცდელობა ამ სიტყვების ყველაზე კარგი გაგებით. პირადად მეც ხომ ამ „დატაცების მსხვერპლი“ აღმოვჩნდი...“(ფრიდონ მაღრაძე).

... და სამადლობელ წერილთა ნაკადი არ წყდება: ელგუჯა ხარაძის, გიგუცა შარიქაძის, პაატა პაქსაშვილის, ზაურ ვეფხვაძის, ზაურ ბუაჩიძის, ვიტალი ხარაძის, იზა ბუაჩიძის, ლადო ბუაჩიძის, კოტე წულუკიძის, იროდი თაბუკაშვილის, ფრიდონ თაბუკაშვილის, ვახტანგ ტაბატაძის, მევლუდ ბუაჩიძის, ელდარ ბუაჩიძის, სოსო არევაძის, თამაზ სახვაძის, მირიან ჭოლაძის, პაატა ჭიპაშვილის, დოდო ჭიპაშვილის (ნაადრევად წასულ ზაზა ჭიპაშვილის ოჯახი), კობა ჭიპაშვილის, ბესო ჭიპაშვილის, მერი ჭიპაშვილის, ულინა კაციტაძის, მამუკა ჭიპაშვილის, თემურ ჯოხაძის, დათო ბუაჩიძის, მიხეილ ბუაჩიძის სტუმართმოყვარე ოჯახების მისამართით...

ეცნობი გულმხურვალე მადლიერებითა და სიყვარულით გაჯერებულ ამ წერილებს და გაგონდება ნიჭიერი მკურნალისა და პოეტის, თამაზ სანებლიძის, ნატვრა სტრიქონებიდან:

„იმერულ პეწით გაშლილი სუფრა,
სუფრაზე სიტყვა თქმული აზარტით,
არ მოეშალოს იმერეთს ჩემსას
ეს სიყვარული, შნო და ლაზათი!“



### ელგუჯა ხარაძის ძირძველი კერა და „ამაღლებული ფარცხნალი“
### (ფერთა დიდოსტატის, ილო პატაშურის, ნაამბობიდან)

ჭეშმარიტი პატრიოტის, იზა ვეფხვაძის, პროექტით მეორედ ვღებულობ მონაწილეობას სამხატვრო პლენერში. გასულ წელს სოფელ თეთრაწყაროში ბატონ აკაკი ლურსმანაშვილისა და ქალბატონ ნანა კვინიკაძის უმშვენიერესმა ოჯახმა მიმასპინძლა და ამ ელამაზესი სოფლის ხედი გადავიტანე ტილოზე...

წელსაც გამორჩეული შემოქმედებითი გარემო მიბოძა განგებამ. ქალბატონ იზას ალღომ არ უმტყუნა, როცა მასპინძლად ის კერა შემირჩია, სადაც გალაკტიონი-პედაგოგი სახლობდა და სადაც უკვე რამდენიმე წელია, ქალბატონ იზას ინიციატივით გახსნილია პოეზიის მეფის, გალაკტიონ ტაბიძის, ოთახი-მუზეუმი...

ბატონ ელგუჯას ოჯახს ჩემთან ერთად სტუმრობდნენ ქართული საზოგადოებისათვის ცნობილი პიროვნებები: ბატონი ივანე ჯაფარიძე და ბატონი ზაურ ნაჭყებია.

... ადრიან დილით, 5 საათზე, გავშალე ჩემი პალიტრა. მერე ერთხელ კიდევ შევაღე „გალაკტიონის ოთახის“ კარი, დავჯექი „გალაკტიონის სკამზე“ და რამდენიმე წუთს გავირინდე... თითქოს ვხედავდი, როგორ შემოაღო სკოლიდან დაბრუნებულმა გალაკტიონმა კარი, პატარა ფარცხნალელთა ნამუშევარი რვეულები მაგიდაზე დააწყო... მერე ფანჯარა გამოაღო, კახორის მთას შეავლო თვალი... შემობრუნდა და ქაღალდს დაებწკარა ცნობილი სტრიქონები: „აი, ფანჯარა იმ სახლის...“

წამოვდექი, ფრთხილად გამოვიარე ეზო და დავეშვი იმ მიხვეულ-მოხვეულ გზებზე, რომლებზეც გალაკტიონი დააბიჯებდა... ვგრძნობდი, რომ მივიღე ძლიერი შთაგონება, გალაკტიონი ჩასახლდა ჩემს სულში... შეებრუნდი, ავიარე აღმართი, ფრთხილად მივუახლოვდი გაშლილ პალიტრას და ტილოზე გადავიტანე პირველი კონტურები: ხარაძეთა უბანი, ჩემი მასპინძლის სახლი, გზა და დაბლა, მარცხნივ, გალაკტიონის შთაგონებული სახე... პოეზიის ცეცხლით ანთებული თვალები...

ძვირფასო მკითხველო!

ამ წერილის ავტორებს არ ძალუძთ, ამგვარი შთაგონების ტყვეობაში მყოფი ფერთა დიდოსტატის მიერ შექმნილი იმ სურათის შეფასება, რომელსაც „ამაღლებული ფარცხნალი“ ჰქვია...

ეს მხატვრული ტილო პლენერში მონაწილე სხვა მხატვრების ნამუშევრებთან ერთად ჯერ ფარცხნალის სასოფლო კლუბში გამოიფინა, შემდეგ კი ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის დარბაზის კედლები დაამშვენა. ნავარაუდევია, რომ შარშანდელ ნამუშევრებთან ერთად იგი თბილისში, ცნობილ სამხატვრო გალერეაში, გამოიფინება და მას უამრავი დამთვალიერებელი შეაფასებს...

### ამონარიდები სტუმართა შეფასებებიდან...

„ათი წელი გავიდა ლიტერატურულ კონკურს „ოდეონის“ დაარსებიდან.წელს იგი მეთერთმეტედ ჩატარდა და თუკი XXI საუკუნეში რაიმე გაგვაკვირვებდა და გაგვაოცებდა, აღარ მეგონა, მაგრამ იზა ვეფხვაძემ, ხარაგაულმა და ფარცხნალმა ჭეშმარიტად ზღაპრულ სამყაროში მოგვახვედრეს, საიდანაც აღარავის სურდა გამოსვლა...

სოფელი ფარცხნალი ისევ იზა ვეფხვაძის წყალობით ვიცოდი, რომ კორიფეთა სამკვიდრო იყო, მაგრამ თუკი ამ დროში სოფელი ადამიანისადმი ისეთ სიყვარულსა და კეთილშობილებას შეინარჩუნებდა, რაც საკუთარი თვალით ვიხილეთ, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. ახლა აღარ მიკვირს, ამ სოფელში ერთიმეორეზე უკეთესი მამულიშვილები რომ გაიზარდნენ და ჩვენი ქვეყნის სახელი მსოფლიოში გაიტანეს...“

**ივანე ჯაფარიძე**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი**

* * *

„გამაოცა სოფელმა ფარცხნალმა, მისმა სილამაზემ, გამაოცეს ფარცხნალელებმა.

იმერეთს, ხარაგაულს, დღეს ისრაელში იცნობენ, როგორც ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეს, უნიჭიერესი ადამიანების აკვანს და მას „იზა ვეფხვაძის ცენტრს“ ვეძახით. შორს აღარ არის ის დღე, როდესაც ხარაგაულს ისრაელის ერთ-ერთ ასევე საინტერესო და ლამაზ კუთხესთან დავაძმობილებთ, რაზეც სრულ მხარდაჭერას გვიცხადებს მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი კობა ლურსმანაშვილი. ის ღირსეული პიროვნება და თავისი ხალხის დიდი მოამაგეა. ამის დასტურია თუნდაც ის მემორანდუმი, რომელიც გაფორმდა ოსკარ შინდლერის აკადემიასა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტს შორის. მალე ხარაგაულში გაიხსნება სასწავლებელი, რომელიც სპეციალობებს შეასწავლის და დაასაქმებს მსურველებს, ასევე სოციალურად დაუცველ და განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს.

**მაძს მეირ შავიტი**
**პროფესორი, დიზაინერ - მხატვარი ისრაელიდან**

* * *

„ფარცხნალში არასდროს ვყოფილვარ. ეს სოფელი ქალბატონმა იზამ და „ოდეონმა“ გამაცნო... ხარბად ვათვალიერებ მის ულამაზეს ხედებს. რა მადლიანი ფუნჯით მოუხატავს ზენაარს ირგვლივ ყოველივე...

რა მიგნებული, უფრო ზუსტად - რა მორგებული თავისუფალი თემა „სოფელი“ შემოგვთავაზა კონკურსის ორგანიზატორმა...

ღმერთო, უმრავლე ჩემს საქართველოს ფარცხნალის მსგავსი სოფლები. ბედნიერი ვარ, რომ გავიცანი ფარცხნალი და ფარცხნალელები, რამაც კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ არა არსებობს ძალა, რომელიც ქართველთა შორის ურთიერთსიყვარულს მოშლის, გააფერმკრთალებს...“

**გიორგი ხორბალაძე**
**გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსი (კანცლერი), ფილოლოგიის დოქტორი, „ოდეონის“ კონკურსანტი**

### აფხაზეთში მოღვაწე ქართველი მხატვრის საფლავთან...

სად არ დაუტოვებია თავისი კვალი, თავისი გამორჩეული ხელწერა, ქართველ კაცს... ჩვენი დიდი ტკივილია ჩვენი აფხაზეთი, ჩვენი სოხუმი... სწორედ იქ მოღვაწეობდა ღუდუმექეთელი მხატვარი, ნიკოლოზ თაბუკაშვილი, რომლის ძალისხმევითაც დაარსდა სოხუმში ჯერ სამხატვრო სკოლა და შემდგომ სამხატვრო სასწავლებელი. ის იყო სახალხო უნივერსიტეტის რექტორი და კითხულობდა ლექციებს ხელოვნების ისტორიაში.

ნიკოლოზ თაბუკაშვილს მინიჭებული ჰქონდა აფხაზეთისა და საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება. იყო საქართველოს, აფხაზეთისა და საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის წევრი.

ბატონ ნიკოლოზს მუდამ უხმობდა თავისი „ადგილის დედა“, თავისი ღუდუმექეთი. ამიტომაც იყო, რომ ანდერძით თავის მარადიულ სავანედ ღუდუმექეთი აირჩია...

პლენერის ფარგლებში აფხაზეთის მხატვართა კავშირის (თავმჯდომარე ალექსანდრე ხუბუა) წევრებმა სხვა მხატვრებთან ერთად მოინახულეს ნიკოლოზ თაბუკაშვილის საფლავი და პატივი მიაგეს მის ხსოვნას...

### ...და მაინც – რატომ ფარცხნალი?

„გინდ დაიჯერეთ, გინდ არა... სოფელ ფარცხნალზე დღეს მთელ საქართველოში საუბრობენ. არ ვიტყვი ასიათასობით, მაგრამ ათიათასობით ადამიანი ნამდვილად... არადა, როცა წიგნი „ფარცხნალი - კორიფეთა სამკვიდრო“ გამოვეცი, ამ უნიკალური სოფლის არსებობის შესახებ ასობით ადამიანმა თუ იცოდა, ისიც ნაწილობრივ... არადა, ფარცხნალის მადლიანმა მიწამ ისეთი ადამიანები აღზარდა, არათუ ერთ სოფელს, ერთ დიდ სახელმწიფოსაც ეყოფოდა დიდებად... როცა პლენერ „გამასა“ და ლიტერატურულ კონკურს „ოდეონის“ ფარცხნალში ჩატარება განვიზრახე, არ დაგიმალავთ და ჩემი ერთ-ერთი მთავარი მიზანი ფარცხნალის ცნობადობის გაზრდაც იყო... ხელოვანი, შემოქმედი ადამიანების სტუმრობა ამ მიწაზე, გალაკტიონის, დიდი ევგენი ხარაძის, რეზო თაბუკაშვილის, კიტა ბუაჩიძის და სხვა დიდებული ქართველების ნაკვალევზე... ვფიქრობ, მცდელობამ მიზანს მიაღწია... ეს სოფელი არა მარტო ნაცნობი გახდა საზოგადოების ნაწილისათვის, არამედ შეიყვარეს და ენატრებაც კიდეც... ფარცხნალი დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს. ამ სოფელმა ქართულ მეცნიერებასა და ხელოვნებას ჭეშმარიტი კორიფეები აჩუქა... ხარაგაული რომ საქართველოს გეოგრაფიული ცენტრია, ეს ფაქტია. მკვლევართა ნაწილი ამტკიცებს, რომ ხარაგაული სამყაროს ცენტრია... არ ვიცი, ვერც კის ვიტყვი და ვერც არას... მაგრამ ფარცხნალი რომ მსოფლიოში უნიკალური სოფელია, ეს დანამდვილებით ვიცი... თუ ვინმეს ეჭვი გეპარებათ, მზად ვარ, ეს სიღრმისეულად აგიხსნათ და დაგიმტკიცოთ... არ იფიქროთ, რომ ფარცხნალი ჩემი სოფელია და ამიტომ ვეწევი მის პოპულარიზაციას თავგამოდებით, ფარცხნალთან მხოლოდ ერთი რამ მაკავშირებს - სიამაყე იმისა, რომ საქართველოში ასეთი სოფელი არსებობს.“

**იზა ვეფხვაძე**

* * *

„ოდეონელმა“ პოეტმა გივი ჩიღვინაძემ „იწინასწარმეტყველა“:

„ჩვენი იზა იმდენს იზამს,
რომ მიაღწევს მალე მიზანს -
ფარცხალსა და ხარაგაულს
გვიქცევს ყოველ ღამის სიზმრად!“

... დაეშვა „ოდეონისა“ და „გამას“ ალმები, სრულდება „ოდეონის“ ჰიმნი... უსაზღვრო ემოციებით დატვირთული სტუმარები ტოვებენ მასპინძლებს, რომ სიზმარი ცხადად იქცევა და მომავალი მასპინძელიც უეჭველად ფარცხნალი იქნება...

**ეკა შავიძე**
**მერი გიორგიძე**

# ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტში ჩართულმა მოსწავლეებმა თბილისში ხელოვნების მუზეუმი მოინახულეს

2 ივნისის ადრიანი, წვიმიანი დილა. ამინდი ისეთია, მთლად კარგ განწყობაზე არ დაგაყენებს, მიუხედავად ამისა მიკროავტობუსში მაინც მხიარული განწყობა გვაქვს.

თბილი მზით და საამო სიოთი გველოდება ჩვენი საყვარელი დედაქალაქი. დილით 11 საათზე ხელოვნების მუზეუმში ვართ, აქ უკვე გველოდება საპატიო ხარაგაულელი, ეროვნული საგანძურის მეჭირნახულე, ერმილე მაღრაძე. ბავშვებს აქვთ ბედნიერება, პირველად მიეახლონ ეროვნულ სიამაყეს. ზღურბლზე გადაბიჯებისთანავე თითქოს სხვა სამყაროში ვხვდებით, პირველივე დარბაზში ექსპოზიციიდან გვიმზერს სარგვეშის თასი, ყველაფერი სიმბოლურად გვეჩვენება, თითქოს ჩვენსა და სიწმინდეებს შორის უხილავი კავშირი მყარდება. მასპინძელი ბოლომდე იხარჯება, გვიხსნის რით იყო განპირობებული ასეთი მაღალი დონე ქართული ხელოვნებისა იმ ეპოქაში. ნათელი ხდება, რომ ქართული ხელოვნება ფეხდაფეხ მიჰყვება და ბევრჯერ წინაც უსწრებს იმ პერიოდის უძლიერეს სახელმწიფოებში დანერგილ სახელოვნებო ტენდენციებს.

გვაოცებს აღმოსავლურ - ქართული, დასავლურ-ქართული, სვანური სკოლის ხატმწერთა და ოქრომჭედელთა ოსტატობა: იშხნის, შატბერდის, ხახულის, ვარძიის ღვთისმშობელთა წმინდა ხატები, თამარის ვარდისფერი უკვდავი მარგალიტით შემკული გულსაკიდი ჯვარი. ბავშვებისათვის, შეიძლება ითქვას, ეს არის კულტურული შოკი. ვინაცვლებთ ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმში. აქ ვათვალიერებთ გამოფენებს: „ოქრომრავალი კოლხეთი," ქართული საჭურველი, არქეოლოგია და ბოლოს სულისშემძვრელ ოკუპაციის მუზეუმს.

ყველაფერი ძალიან საინტერესოა, ანოტაციები და ტექსტები არტეფაქტებზე ამომწურავ ინფორმაციას იძლევიან. ბავშვები ნიავივით დაქრიან დარბაზიდან დარბაზში, ინტერესით ეცნობიან ექსპოზიციებს, რომლებიც დონით არცერთ ევროპულ გამოფენას არ ჩამოუარდა, იღებენ უამრავ ფოტოს. შეუმჩნევლად გადის თითქმის ნახევარი დღე. გამოვდივართ რუსთაველის გამზირზე. ყველანი ნანახით სასიამოვნოდ დაღლილები ვართ. შევდივართ ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში. წინ გველოდება კიდევ ერთი ძალზე საინტერესო „თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის მუზეუმი" ე.წ. „ხელოვნების სასახლე", რომელსაც „სიყვარულის სასახლესაც" უწოდებენ აგრაფინა ჯაფარიძისა და ოლდენბურგის ჰერცოგის ვაჟის, პრინცკონსტანტინე პეტრეს ძის, სიყვარულის გამო. გულთბილი მიღების შემდეგ შევდივართ ცენტრალურ დარბაზში, სადაც მიმდინარეობს წარმოშობით ხარაგაულელის, ხელოვნების ქურუმის, დიდი ხელოვანის ლევან ცუცქირიძის, გამოფენის მოწყობა... და დიდი სიხარულით მივუახლოვდით ბატონ ლევანს, ბავშვებიც ვიხმეთ და, როგორც იტყვიან, „შეჩერდი წამო" - ფოტოები გადავიღეთ.

ეს ბედნიერი დღე ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტში ჩართულ მოწინავე მოსწავლეებს უსაჩუქრა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ბატონმა კობა ლურსმანაშვილმა, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას ვუხდით.

**ხარაგაულის ისტორიული მუზეუმი**

# ილია სხილაძემ წყალაფორეთის ბაღს საჩუქრად პატარა სამლოცველო გადასცა

კიდევ ერთი ლამაზი დღე ჩაიწერა წყალაფორეთის საბავშვო ბაღის ისტორიაში. სოფელ ლახუნდარაში მცხოვრებმა ილია სხილაძემ ბაღს საჩუქრად პატარა სამლოცველო გადასცა. ამავე დღეს სამლოცველო და საბავშვო ბაღი მამა გაბრიელმა (კურტანიძემ) აკურთხა და აღსაზრდელები და თანამშრომლები დალოცა. პატარების მიერ შესრულებულმა საგალობელმა ყველას მოწონება დაიმსახურა. ღონისძიებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, თეიმურაზ ჩხეიძე, საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორი ირმა სებისკვერაძე და ამავე გაერთიანების თანამშრომლები ესწრებოდნენ. ღონისძიების ორგანიზებაში აქტიური მონაწილობა მიიღეს წყალაფორეთის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებმა: რევაზ სხილაძემ და არსენა თაბუკაშვილმა.

# სამძიმარი

**ხარაგაულის საგანამანათლებლო რესურსცენტრი და ხარაგაულის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივები თანაუგრძნობენ გიორგი არევაძეს მამის ილია არევაძის, გარდაცვალების გამო.**

# საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრმა მორიგი ლექცია-სემინარი გამართა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა-)იპ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი" (დირექტორი შმაგი ხიჯაკაძე) დაავადებათა პრევენციის პროგრამის ფარგლებში აგრძელებს ხარაგაულის მოსახლეობის ინფორმირებას სხვადასხვა დაავადების შესახებ.

8 ივნისს ხარაგაულის მეორე საჯარო სკოლაში ჯანდაცვის ცენტრის იმუნიზაციის ჯგუფის ხელმძღვანელის თანაშემწემ, ნანა ბერაძემ ლექცია-სემინარი გამართა - თემაზე "შაქრიანი დიაბეტი". რა არის შაქრიანი დიაბეტი; ამ დაავადების რა სახეობები არსებობს და როგორ უნდა იმკურნალოს შაქრიანი დიაბეტის მატარებელმა ადამიანმა - ამ საკითხების შესახებ ნანა ბერაძემ ამომწურავად ისაუბრა.

შაქრიანი დიაბეტი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და სწრაფად მზარდი დაავადებაა მსოფლიოში.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, დღესდღეობით, მსოფლიოში 120 მილიონამდე დიაბეტიანია, ხოლო 2025 წლისთვის მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. მატების ასეთივე ტენდენციაა საქართველოშიც.

შაქრიანი დიაბეტი არის დაავადება, რომლის დროსაც სისხლში მომატებულია შაქარი ანუ გლუკოზა.

ზოგადად, შაქრიანი დიაბეტი ეს არის ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, რომლის დროსაც ადამიანის ორგანიზმს არ შეუძლია ნორმალურად შაქრის ანუ გლუკოზის შეთვისება, რის გამოც შაქრის დონე იზრდება.

არსებობს დიაბეტის ორი ტიპი: ორსულთა ანუ გესტაციური დიაბეტი და უშაქრო დიაბეტი.

უკანასკნელ წლებში დიაბეტის მართვა შესაძლებელი გახდა.

გახანგრძლივდა დიაბეტიან პაციენტთა სიცოცხლე, გაუმჯობესდა მათი ცხოვრების ხარისხი.

ასეთი პაციენტები ქმნიან ოჯახებს, ცხოვრობენ აქტიურად და მონაწილეობენ საზოგადობრივ საქმიანობაში.

დიაბეტი კონტროლირებადია! დიაბეტის გართულებების პრევენცია შესაძლებელია! დროული დიაგნოსტირება, პაციენტებისთვის საკუთარი თავის მოვლის სწავლება და ეფექტური მკურნალობის ხელმისაწვდომობა პრობლემის მოგვარების აუცილებელი კომპონენტებია.

„შაქრიანი დიაბეტი არ არის დაავადება, შაქრიანი დიაბეტი ცხოვრების განსაკუთრებული წესია!"

**მარიანა ბურჯალიანი**

# ხარაგაულელი სპორტსმენების წარმატება

4 — 5 ივნისს ქალაქ ზესტაფონში ჩატარდა ნიკოლოზ წაქაძის მემორიალური ტურნირი ძიუდოში, სადაც წარმატებით იასპარეზეს „ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის" სოფელ ხევის სექციის აღსაზრდელებმა (მწვრთნელი სოსო ხაჩიძე). მე-2 ადგილი ზურა ლომიძემ (მძიმე წონითი კატეგორია)დაიკავა. მე-3 ადგილზე აკაკი ხაჩიძე გავიდა(55 კგ წონითი კატეგორია).

* * *

4 — 5 ივნისს ქალაქ თბილისში მოსწავლეთა შორის ჩატარდა საქართველოს ღია ჩემპიონატი „კუნგ-ფუ სანდაში", რომელშიც წარმატებით იასპარეზეს „ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის" ნორჩმა კარატისტებმა (მწვრთნელი ზვიად კურტანიძე).

ჩემპიონები გახდნენ: გაგა გელაშვილი, გიორგი იოსებაშვილი, გოგა ფურცელაძე, თენგიზ ტაბატაძე, გიორგი მაღრაძე, გივი მაზიაშვილი, თამუნა გელაშვილი, მელანო ჭიპაშვილი, სოფო ჭანკოტაძე.

მე-2 ადგილი პავლე ხომასურიძემ და არჩილ იოსებაშვილმა დაიკავეს, ხოლო მე-3 ადგილის მფლობელები რატი დევდარიანი და დავით სხილაძე გახდნენ.

* * *

2016 წლის 4 ივნისს „ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის" დარბაზში ჩატარდა ამხანაგური მატჩი ფეხბურთში „ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალურ ცენტრსა" (მწვრთნელი გოჩა გელაშვილი) და ქუთაისის საფეხბურთო სკოლა „მართვეს" შორის.

2005 წელს დაბადებულთა შორის მატჩი დასრულდა ფრედ 1-1, ხოლო 2006 წელს დაბადებულთა შორის გამარჯვება 2 — 0 მოიპოვა ხარაგაულის გუნდმა.

* * *

2 ივნისს ქალაქ ბაღდათში ლევან ებანოიძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ჩატარდა თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობა მიიღეს „ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის" აღსაზრდელებმა. პირველი ადგილი დაიკავა ევსემ შველიძემ (მწვრთნელი რევაზ შერგელაშვილი).

* * *

2 ივნისს ქალაქ ჭიათურაში რაინდი აბრამიშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ჩატარდა ბერძნულ - რომაულ ჭდაობაში, სადაც მონაწილეობა მიიღეს „ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის" მოსწავლეებმა. ტურნირზე მეორე ადგილი ნოდარ ბაკაშვილმა (მწვრთნელი ვეფხვია გამრეკელაშვილი) დაიკავა.

# ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით საარგიტაციო მასალების გამოსაფენად ადგილების ჩამონათვალი

**1.დაბა ხარაგაულის ადმინისტრაციული ერთეული**
1.1 პატარა ხარაგაულის ბიბლიოთეკის შენობა
1.2 საავადმყოფოსთან მაღაზიის შენობა
1.3 სოლომონ მეფის ქუჩა #7-ში მდებარე მაღაზია
1.4 დაბა ხარაგაულის კინოთეატრის მიმდებარე ტერიტორია
**2. ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეული**
2.1 ღარიხევის კლუბი
2.2 ქროლის წისქვილის შენობა
2.3 მოსაცდელის შენობა
**3. ლაშის ადმინისტრაციული ერთეული**
3.1 ამბულატორიის შენობა
**4. ფარცხნალის ადმინისტრაციული ერთეული**
4.1 ფარცხნალის დაუმთავრებელი მაღაზიის შენობა
4.2 ისლარის წისქვილის შენობა
**5. კიცხის ადმინისტრაციული ერთეული**
5.1 საკოლმეურნეო ბაზართან მდებარე რაიკავშირის ყოფილი სასადილოს შენობა
5.2 საქარიქედის მოსაცდელი
5.3 თეთრაწყაროში ყოფილი კლუბის შენობა
**6. წყალაფორეთის ადმინისტრაციული ერთეული**
6.1 მგზავრთა მოსაცდელი
**7. ვარძიის ადმინისტრაციული ერთეული**
7.1 ამბულატორიის შენობა
**8.ხიდრის ადმინისტრაციული ერთეული**
8.1 ყოფილი რაიკავშირის მაღაზია
**9. საღანძილის ადმინისტრაციული ერთეული**
9.1 მგზავრთა მოსაცდელი
9.2 სხლითის მაღაზია
9.3 ვანში მგზავრთა მოსაცდელი
9.4 ჯაფარეულში წისქვილის შენობა
**10. ლეღვანის ადმინისტრაციული ერთეული**
10.1 დიდვაკის მაღაზიის შენობა
10.2 მარელისის მაღაზიის შენობა
10.3 ლეღვანის მგზავრთა მოსაცდელი
**11. ვახანის ადმინისტრაციული ერთეული**
11.1 მგზავრთა მოსაცდელი
**12. მოლითის ადმინისტრაციული ერთეული**
12.1 მოლითის მგზავრთა მოსაცდელი
12.2 დეისში სარიტუალო შენობა
12.3 ქვებში სარიტუალო შენობა
**13.ზვარის ადმინისტრაციული ერთეული**
13.1 მგზავრთა მოსაცდელი
13.2 პურის საცხობის (ფურნე)შენობა
**14.წიფის ადმინისტრაციული ერთეული**
14.1 ფონაში ყოფილი პურის საცხობის შენობა
**15.ღორეშის ადმინისტრაციული ერთეული**
15.1 რაიკავშირის ყოფილი მაღაზია
**16. სარგვეშის ადმინისტრაციული ერთეული**
16.1 სარგვეშის ყოფილი მაღაზიის შენობა
16.2 საბეში მგზავრთა მოსაცდელი
**17. ბორითის ადმინისტრაციული ერთეული**
17.1 ბორითის სარიტუალო დარბაზის შენობა
17.2 უბისაში მაღაზიის შენობა
**18. ხუნევის ადმინისტრაციული ერთეული**
18.1 ხუნევში მგზავრთა მოსაცდელი
18.2 ხუნევის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე საყრდენი კედელი
18.3 გედსამანიაში მაღაზიის შენობა
**19. ხევის ადმინისტრაციული ერთეული**
19.1 ხევის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციულ შენობასთან მდებარე მაღაზიის შენობა
**20 . ნადაბურის ადმინისტრაციული ერთეული**
20.1 ნადაბურის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციულ შენობასთან მდებარე მაღაზიის შენობა



საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

N 50 27 14/06/2016

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის # 118 განკარგულებაში „ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2015 – 2017 წლებში რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ"ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის"24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 07თებერვლის #23 დადგენილების „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ"#1 დანართის მე-2 მუხლის მე-3 და მე4 პუნქტის საფუძველზე

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:**

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლახუნდარის ცენტრალური საავტომობილო გზის რეაბილიტაციის თაობაზე პროექტი (თან ერთვის).

**მუხლი 2.** შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2015 – 2017 წლებში რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხაში და ნუსხას დაემატოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლახუნდარის ცენტრალური საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.

**მუხლი 3.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურს ( მ.ფხალაძე)

**მუხლი4.** განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

**მუხლი 5.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს "ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 180 მუხლით დადგენილი წესით.

ინგა მაღრაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

**გამომცემელი** ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 32 25; ტირაჟი 1500 ცალი
**დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა სამშობლოში"**
**დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12**